

სკოლა \_\_\_\_\_ კლასი \_\_\_\_\_

სახელი \_\_\_\_\_ გვარი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_

### **ამოცანა 1: ვინ გაიტაცა მანქანა?**

ერთ ქალაქში სამი ტიპის ხალხი ცხოვრობს: მართლისმთქმელები (ყოველთვის რომ მართალს ამბობენ), მატყუარები (ყოველთვის რომ ტყუიან) და ხუმარები (როცა უნდათ, ტყუიან და როცა უნდათ – სიმართლეს ამბობენ).

ერთხელ ვიღაცამ ამ ქალაქის მერის მანქანა გაიტაცა. პოლიციამ დააკავა სამი ეჭვმიტანილი: ჯონი, ჯეკი და ჯო.

პოლიციამ იცის, რომ ერთ-ერთი მათგანი მატყუარაა, მეორე მართლისმთქმელი, მესამე კი – ხუმარა.

პოლიციამ ასევე იცის, რომ მანქანა ერთ-ერთი მათგანის გატაცებულია და გამტაცებელი მართლისმთქმელია.

დაკითხვის შედეგად ეჭვმიტანილებმა თქვეს:

ჯონი: მე არ ვარ დამნაშავე;

ჯეკი: ჯონი სიმართლეს ამბობს;

ჯო: მე გავიტაცე მანქანა.

ვინ გაიტაცა მანქანა და ვინ არის მატყუარა? (პასუხი დაასაბუთეთ).

## **ამოცანა 2: ოთახში**

ოთახში იმყოფება 10 კაცი. მათ შორის რამდენიმე (არანაკლებ ერთისა) ყოველთვის მხოლოდ სიმართლეს ამბობს, დანარჩენები კი — სულ იტყუებიან. ოთახში მყოფთაგან თითოეულს ახურავს შავი ან თეთრი ქუდი. თითოეული მათგანი ირწმუნება, რომ დანარჩენ ცხრათაგან ზუსტად სამს ახურავს შავი ქუდი.

რამდენი მატყუარა შეიძლება იყოს ოთახში? (პასუხი დაასაბუთეთ).

### **ამოცანა 3: მატარებელში**

ნიკა და ირაკლი მატარებლით მგზავრობდნენ. ნიკას 3, ხოლო ირაკლის 5 ფუნთუშა ჰქონდა წამოღებული. მათ დაემგზავრა უცნობი გია, რომელსაც საკვები თან არ ჰქონდა. საუბრებზე ბიჭებმა უცნობი მოიპატიჟეს და ფუნთუშები სამივემ თანაბრად გაიყო.

გია ადრე ჩავიდა და აღმოჩნდა, რომ მას მაგიდაზე 80 თეთრი დაუტოვებია.

როგორ უნდა გაინაწილონ ეს თანხა ნიკამ და ირაკლიმ? (პასუხი დაასაბუთეთ).

### **ამოცანა 4: კაკლები**

ზაზას და გურამს ერთად 20-ზე ნაკლები კაკალი აქვთ. ზაზას კაკლების რაოდენობა გურამისაზე მეტია, მაგრამ გურამმა რომ თავისი რაოდენობა გაისამშაგოს, მას უფრო მეტი გაუხდება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ზაზა გურამს მისცემს 4 კაკალს, ზაზას მაინც უფრო მეტი კაკალი დარჩება.

რამდენი კაკალი აქვს თითოეულს? (პასუხი დაასაბუთეთ).

### **ამოცანა 5: საათები**

კედლის საათი უჩვენებს დღის 12 საათს. ამ დროს ნიკამ და ლუკამ თავიანთი საათებიც დღის 12 საათზე გაასწორეს. ნიკას საათი დღე-ღამის განმავლობაში წინ გარბის 6 წუთით, ხოლო ლუკასი კი ჩამორჩება 15 წუთით. კედლის საათი სწორად მუშაობს.

გაეცით დასაბუთებული პასუხები შემდეგ სამ შეკითხვას:

1) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ კედლის საათი და ნიკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?

2) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ კედლის საათი და ლუკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?

3) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ ლუკას საათი და ნიკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?